№ 130

შაბათი, 20 ივნისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 130

შაბათი, 20 ივნისი, 1898 წ.

**ბაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვასილ ზაქარიას ძე ხანდამიშვილი და მარიამ მიხეილის ასული ხანდამიშვილისა,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა უძვირფასესის შვილის

## კონსტანტინე ვასილის ძის ხანდამიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ დღეს, შაბათს, 20 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, მე-7 ნაწ., ავლაბრის პატარა მოედანზედ, № 6, ეირანოვის სახლში, სადაც პანაშვიდი იქმნება გარდახდილი, ხოლო ხვალ, 21 ივნისს, დილის 9 საათზედ, წმ. მარინეს ეკკლესიაში, რადგანაც წირვისა და პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულის გვამი პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ იქმნება განსვენებული დასაკრძალავად.

(1—101—1)

კვირას, 21 თიბათვეს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## ალექსანდრე სოლომონის ძე რონაშვილის

სულის მოსახსენებლად.

2—1

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

## ბუნება და ცხოვრება

ილ. ალ ხახიშვილისა

**ფასი 60 კაპ.**

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—9)

### «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ტფილისი, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(წ)

## ვაისრულოვ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

პლანების აღებას და ნიველიროვკას.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 567.

(50—80—37).

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის მოურავს, რომ მთავარ მართებელმა არ შეიწყნარა საბჭოს განაჩენი, ტფილისში წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებისა იმის გამო, რომ ამ საქმისათვის ქალაქის მიერ გადადებული 4,000 მან. საკმარისი არ არის ხსენებულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს უზრუნველსაყოფად. თავისს მხრივ არ დაამტკიცა წიგნთსაცავ-სამკითხველოს წესდება, რომ უიმისოდაც დიდი საქმეები აქვს გასაკეთებელი ქალაქის თვით-მმართველობას და იგი მოვალეა პირველად ქალაქი რიგიანად მოაწყოს, ქუჩები ქვით მოჰკირწყლოს, ქალაქის განათებისათვის იზრუნოს და შემდეგ სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელიო.

*** ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თავ. გ. დ. შერვაშიძე, რომელიც ამას წინად საზღვარ-გარეთ წავიდა სამკურნალოდ, უკეთ გამხდარა.

*** 24 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს აზნაურ ს სამარღანიშვილისა და მისის შვილების საქმეს, რომელთაც ჰბრალდებათ თ. ფალავანდიშვილისა და აზნაურის ი. დიდებულიძის მოკვლა. ბრალდებულთ ოლქის სასამართლომ მისაჯა კატორგა და ციმბირში გარდასახლება.

*** ამბობენ, რომ კახეთის რკინის გზის გაკეთების საქმე გზათა სამინისტრომ ორის წლის ვადით გადასდოსო.

*** წელს პოლტავის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაუმთავრებია ერთს ქართველს, სახელდობრ დომენტი ჩხაიძეს პირველის ხარისხით. იმავე სემინარიაში სწავლობს თურმე კიდევ სამი ქართველი.

*** წელს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას გაუყიდნია ვენახების წამლობისათვის 40,000 მანათის მანქანები ვერმორელისა, გოგირდი და შაბიამანი.

*** საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტს ი. ზ. ანდრონიკაშვილს შუამდგომლობა დაუწყია მიწათ-მოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მომეცით ჩემდამო რწმუნებულ ხეობის კერძო მემამულეთა ... ყოფილ ალბანეთის საზღვრებიდგან გადმოტანილ ამერიკულ ვაზის ნერგები დავრგო, რადგან ამისათვის საჭირო ხარჯს იკისრებენ თვით ის მემამულენი, რომელთა ვენახებშიაც იქმნება დარგული ვაზი, და 6—7 წლის განმავლობაში ამ ვენახებს თვალ-ყური ადევნოს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმაო.

*** დღეს, 20 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია, რომელიც შესდგება თავმჯდომარის ი. ფ. პარჩევსკისა, წევრის ს. უ. როჟდესტვენსკისა და ბრალმდებელის ამხანაგის ი. ლ. დობროვოლსკისაგან, ქ. ახალციხეში მიდის საქმეების გასა-

# ფელეტონი

### წერილი ლონდონიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

ლონდონი 3 (15) ივნისი.

სიცივე და ავადმყოფობანი.—პურის დაძვირება.—მჭიდრო კავშირი სახელმწიფოთა და ხალხთა.—ქვის-ნახშირის მაღაროებში მომუშავეთა შეთქმულება.—პლიმზოლის გარდაცვალება

აქაურის ანგარიშით უკვე ივნისის ნახევარია და ამინდი-კი ჯერაც ისევ ცივი და ნოტიოა. მაისმა ყვავილები და ვარდები-კი არ მოგვიტანა, არამედ ყინვა, ჭყაპი და ავადმყოფობანი. კუჭის ავადმყოფობა, ბრონხიტი, ქარები ხშირი მოვლენა იყო. იშვიათად ჰნახავდით ისეთ სახლს, სადაც ავადმყოფი არა ჰყოლოდათ. ავადმყოფობას ყველამ გარდაუხადა ხარკი და, სხვათა შორის, თქვენმა უმორჩილესმა მონამაც, რის გამოც იძულებული გავხდი დროებით შემეწყვიტა თქვენთან საუბარი.

მაგრამ მარტო უამინდობამ და ავადმყოფობამ არ გაგვიმწარა სიცოცხლე. დიდი ზეგავლენა იქონია ჩვენს ზედ ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომმაც. იქ, შორს, ოკეანეს მეორე მხარეს, ოცი ან ოც-დაათი ნალმიანი და ჯავშნიანი გემი ერთმანეთს ყუმბარებს უშენენ და აქ-კი, დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ინგლისში, მილიონი ხალხი ტანჯვაშია პურის სიძვირისა გამო. ხოლო ეს სიძვირე სწორედ ომმა გამოიწვია. ბირჟის მომქმედთ და ჩარჩებმა დაარწმუნეს ხალხი რომ ატლანტის ზღვაზედ სიარულს საშიშოაო, და ამის გამო ამერიკიდგან პური აღარავის გამოაქვს.

მაგრამ ჯერ ერთი—ესპანიის არც ერთს სამხედრო გემს არ მიუღწევია ოკეანეს ჩრდილოეთით იმ ადგილამდე, რომელზედაც ამერიკიდგან ინგლისში მომავალი გემები დადიან; მეორე კიდევ,—თუ მართლა პურის გამოტანა ასე გაძნელდა, რა მიზეზია, რომ კაპიტალისტთა მრავალი ამხანაგობა და კერძო მოვაჭრენი ჰყიდულობენ ამერიკის დასავლეთ შტატებში მრავალ მილიონ ფუთ პურს და თავიანთ საწყობებში ინახავენ ამ უთვალავ სარჩოს?

ამ ხანად ბირჟის მომქმედნი შესცდნენ. მათ აზრადა ჰქონდათ ხალხისთვის თავსზარი დაეცათ ვითომდა მომავალის შიმშილით და სამის კვირის განმავლობაში კიდეც მოახერხეს ეს: ფქვილისა და ხორბლის ფასმა ძალიან აიწია, ხოლო გამომცხვარი პური ერთი-ორად უფრო ძვირად იყიდებოდა, ვიდრე წინად. მარტო ის დაავიწყდათ ამ სხვისის ოფლითა და ტანჯვით მონაგარის მოყვარულთ, რომ აგვისტოდგან უმეტესი ნაწილი პურისა უკვე გადმოზიდული იყო და რომ ძნელია დიდხანს ხალხის მოტყუება და ხელოვნურად ფასის მომატება.

მართლაც, ასეთის გარემოების წყალობით, ჩიკაგოს უფრო მდიდარმა ვაჭრებმა ველარ მოახერხეს პურის გაყიდვა, მრავალი მილიონი ფუთი პური საწყობებშივე დარჩათ და ფასმა ნახევრად დაიწია. კიდეც ამ ტომ უპირველესი პურის ვაჭარი ლიტერი კოტრად იქმნა გამოცხადებული. ლიტერს შემდეგ ამერიკაში მრავალი სხვაც გაკოტრდა და მეორე დღესვე ლონდონსა და საზოგადოდ ინგლისში ერთის ბუშელ (საწყაო) პურის ფასმა 52 შილინგიდგან 32 მდე დაიწია! ამის შემდეგ ყოველ დღე უფრო და უფრო იაფდებოდა იგი, რადგანაც ამ ფასის ნაკლებობის დროსაც-კი მუშტარი არა ჰყავდა.

ერთის შეხედვით ვაჭრებს თითქო საქმე კარგად მიჰყავდათ: იმის წყალობით, რომ ჩვენს დროში ტეხნიკა წარმოუდგენელად განვითარდა და რაიმეს გადატანა-გადაზიდვა საშინლად გაიაფდა, აწინდელი კაცობრიობა იმდენად დაკავშირდა და გაერთიანდა, რომ ერთის რომელისამე დიდის ერის ომმა, მოუსავლობამ და ან სხვა რამ უბედურებამ არ შეიძლება დიდი გავლენა არ იქონიოს სხვა სახელმწიფოთა და ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაზედ. ეს ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებაა აგრეთვე ისიც, რომ შეერთებული შტატები მკვებავია ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისისა. დასასრულ ჭეშმარიტებაა ისიც, რომ პურის ამა თუ იმ ფასის დაწესება, მაზანდის დადგენა ჩიკაგოსაგან არის დამოკიდებული. მაგრამ აქედგან სრულიადაც არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩიკაგოს რა ფასსადაც უნდა, იმ ფასად მოახერხებს ევროპაში პურის გაყიდვას. ვიდრე ამერიკის პური ევროპის პურზედ იაფად იყიდებოდა, ჩიკაგოს შეეძლო მაზანდის დადგენა, ხოლო როდესაც იქაურმა თვით-მპყრობელმა პურის ვაჭრებმა მოიწადინეს თავიანთის პურის მაზანდის ხელოვნურად აწევა,—მაშინ ამ ეკონომიურად მჭიდროდ შეკავშირებულმა კაცობრიობამ თვალები გაახილა, დაუყოვნებლივ სხვა სახსარი გამოსძებნა და ამით მტაცებელ-მძარცველები დასაჯა.

ტყუილად ჰგონიათ ვაჭრობით გაბატონებულ და თვით-მპყრობელ ვაჭებატონებს, რომ კაცობრიობის ეს დღითი დღე გაერთიანება და ხალხ-

რჩევად. 22 ივნისს სესსია გაარჩევს ახალციხეში საქმეს ახალციხის მემამულის ფეიზულ ბეგ-ათაბეგოვ კობლიანსკისას, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ სოფელ ქვემო ენტოლის გლეხებს აქეზებდა, წინააღმდეგობა გაუწიეთ აბასთუმნის ტყის მცველსა და დაიჭირეთო.

*** როგორც ტფილისის პოლიცმეისტერის ცნობებიდგანა სჩანს, შარშან 1897 წელს ტფილისში სულ 274 ქარხანა იყო, რომლებშიაც 4,657 კაცი ჰმუშაობდა. ამ ქარხნებმა ერთის წლის განმავლობაში მოამზადეს 5,812,996 მანეთის საქონელი და მასალა. ამას გარდა, იმავე წელს ტფილისში 4,605 სავაჭრო სამრეწველო დაწესებულება იყო, რომელთაც 25,070.000 მანეთის ვაჭრობა ჰქონიათ.

*** ტფილისის ფულის პატრონთა შორის ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ სააქციო საზოგადოება დავაარსოთ და ჩვენ შევისყიდოთ ქალაქის ცხენის რკინის გზაო.

*** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსმა მკურნალმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რომ ტფილისში ქალაქის ხარჯით დაარსებულ იქმნას სამკურნალო იმ მამაკაცებისათვის, რომელნიც ათაშანგითა და სხვა ავის ავადმყოფობით არიან ავად. ამასთან მკურნალმა პავლოვსკიმ ისიც აღნიშნა, რომ მიხეილის საავადმყოფოში ასეთ ავადმყოფთათვის მხოლოდ 10 ადგილია, რის გამოც აურებელს მთხოვნელებს ყოველ წელიწადს უარს ვეუბნებით და არ ვიღებთ. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ პირველ იანვრიდგან ივნისამდე 141 ათაშანგით ავადმყოფს და 135 სხვა ავის სენით შეპყრობილთ გამოვუცხადეთ უარიო. ამავე თხოვნიდგანა სჩანს, რომ უფროსს მკურნალს წინად ქალაქის თვითმმართველობისათვის მიუმართავს და უთხოვნია, თქვენის ხარჯით დააარსეთ სამკურნალო, მაგრამ ქალაქის მოურავს უარი შეუთვლია და უთქვამს, ქალაქი უფულობით ისეა გაჭირვებული, რომ მაგ საქმისთვის არაფრის გადადება არ შეგვიძლიანო.

*** წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 14 ყმაწვილმა.

*** ქუთაისისავე სათავად-აზნაურო სასწავლებლის მეოთხე კლასში სწავლა დაამთავრა 9 ყმაწვილმა, რომელნიც უეგზამენოდ იქმნებიან მიღებულნი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში.

*** ბორჯომიდგან იწერებიან, რომ წელს ძლიერ ცოტა ხალხი წასულა იქ სააგარაკოდ. ამის გამო სახლები ძლიერ იაფია თურმე.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, მთავარ-მართებელმა უკვე დაამტკიცა და გაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შესატანად მთავარ-მართებლის საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტები საერობო ხარჯთ-აღრიცხვისა და ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მამულებზედ გაწერილ კერძო გარდასახადებისა სამის წლით 1898 წლიდგან დაწყობილი.

*** გაზ. „Каспій“-ის სიტყვით, მთავრობამ ნება დართო ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭოს გამოსცეს ქალაქ ბაქოში პირველის გილდის ვაჭარის პავლე ოსეფას ძის ღუკასოვის რედაქტორობით ახალი გაზეთი, რომელსაც ეწოდება სახელად „Нефтяное Дѣло“ (ნავთის საქმე). გაზეთს კარგა ვრცელი პროგრამა ექმნება, გამოვა თვეში 2-დგან 4-დე, ხოლო ეღირება წელიწადში გაგზავნით ერთი თუმანი.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ უკვე შემუშავებული [illegible] „[illegible] რველ საზოგადოების“ წესდებისა საგუბერნიო მთავრობამ წარუდგინა კავკასიის უმაღლესს მთავრობასაო.

*** სოფ. ოფშკვითი. როგორც იყო თ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძის მეცადინეობით დაგვიარსდა ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. სასწავლებელს ჯერ-ჯერობით საკუთარი სახლი არა აქვს და კარგი იქმნება, როდესაც საწავლებლისათვის სახლის შენების თავდარიგს შეუდგებიან, წმ. გიორგის ეკკლესიის მახლობლად მდებარე მოედანზედ ააგონ, რადგან ეს ადგილი ყველა აქაურ მცხოვრებლისათვის ხელ-მისაწდომი იქმნება.

*** დ. ჩოხატაური. ეხლაა პარკის გაყიდვის დრო და ვაჭრებიც გამალებული დატრიალდნენ. უნდოდათ შარშანდელივით მუქთად ჩაეგდოთ ხელში საწყალის კაცის ოფლით ნაღვაწი და პირველად კიდეც დაიკმაყოფილეს სურვილი, მაგრამ შემდეგ იმოდენა პარკის ყიდვის მსურველი გაჩნდა, რომ მეტოქეობა გაიმართა და პარკის ფასმაც ძლიერ აიწია. 15 ივნისს ფუთი პარკი 19 მან. იყიდებოდა. შემდეგ ფასმა დაიწია და ამ ჟამად ფუთი პარკი 16 მან. და იყიდება. არ შეიძლება არ მოვიხსენიო ის გარემოებაც, რომ აქაურმა ვაჭრებმა, საცა-კი ფარანი იდგა, მოხსნეს და სახლში წაიღეს, ასე რომ შეღამდება თუ არა, მთელი დაბა ჯოჯოხეთს დაემსგავსება ხოლმე. კარგი იქმნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ ამბავს.

*** სოფ. ლამარდონი, (კავკავის მაზრა). 9 ივნისს „ვაცილიობას“ სამწუხარო ამბავი დატრიალდა. წახილოვის სათიბში გადასულიყო სამი ცხენი. არყით და ლუდით გაჟენთილმა წახილოვმა გაიძრო ხანჯალი და საბრალო პირუტყვებს კუნთები დააჩეხა. სწორედ გულსატკენი იყო მათი მდგომარეობა. სოფელი ძალიან აღელდა ამის გამო და ერთხმად სთხოვეს მამასახლისს, რომ ამ უწესოების ჩამდენს წახილოვს შეუდგინოთ განაჩენი და ვთხოვოთ, ვისიც ჯერ არს, რომ სამაგალითოდ დასაჯონო. მამასახლისიც დაჰპირდა სოფელს [illegible]. შეასრულებს თუ არა დაპირებას.

*** გუშინ, 19 ივნისს, ტფილისში ახალ-არსენალის ქუჩაზე, პორფირიევის სახლში კინაღამ დიდი უბედურება მოხდა. ამ სახლის ქვემო სართულში იდგა მეტად ღარიბი სამი ოჯახი: ინაშვილისა, ხუციშვილისა და დემუროვისა. დილის 4 საათზედ, 19 ივნისს, ოთახებში უეცრივ წყალი შეუვარდათ, ოთახები ძლიერ მალე გაივსო წყლით, ასე რომ შიგ მყოფთ ძლივს დააღწიეს თავი. ავეჯი, ლოგინი, სახლის სამკაული, ერთის სიტყვით, რაც რამ ებადათ, ყოველივე დაეღუპათ. ასე გასინჯეთ, რომ ლოგინიც-კი აღარ შერჩათ. იდგნენ საცოდავები დილით და შესცქეროდნენ თვალ-ცრემლიანნი დამტვრეულს და გაფუჭებულს ავეჯს. ერთს მათგანს — ხუციშვილს — 5 ქალი და 2 გაყიშვილი ჰყავს. გამკლელ-გამომვლელს იმას შესტიროდა საბრალო, ვმუშაობ გამუდმებით, დღე-და ღამეს ვასწორებ, მინდოდა ჩემის შვილებისათვის რამე გადამენარჩუნებინა, იმიტომ დავიქირავე ცოტა იაფად სახლი, რა ვიცოდი, რომ ასეთი უბედურება მეწვეოდა და წყალი შემოვარდებოდა სახლში. სხვებიც თითქოს თავს იმართლებდნენ: ქვემო სართულში იმიტომ ვიდექით, რომ შეძლება არა გვქონდა და ეხლა ხომ სულ დავიღუპენითო. ამ სახლშივე სასმელების დუქანი იყო ბარათაშვილისა. ეს დუქანი სულ წყლით გაივსო. ჯერ ისეც გაჭირობა არა მქონდაო და ეხლა როგორ უნდა გავუძლო 600 მანეთის ზარალსაო. წყალმა სასმელებით სავსე ბოჩკები მოიტაცაო.

მიზეზი ამ უბედურებისა შემდეგი ყოფილა. პორფირიევის სახლის ქვეშ არის არხი ნიავღვრისათვის. ამ არხს შარშანწინ ამოუშენეს ერთის არშინის სიმაღლე კედელი ბ-ნ ერიცფუხოვის სახლის წინ და ის ქუჩაც, რომელზედაც ეს არხი გამოდის, აამაღლეს. ამ გვარად არხიდგან გამოსულს წყალს გზა შეეღობა. წყალი არხში არ დაეტია, გადმოვიდა პორფირიევის სახლის ეზოში და გაავსო ქვემო სართულის ოთახები.

ამავე დღეს წყალი შევარდა არუთინოვის სახლის ეზოში და წ. სარქისოვის ღვინის სარდაფში, ავჭალის ქუჩაზედ. კიდევ კარგი, რომ მედუქნე ადრე მოსულიყო დუქანში და კარ-ფანჯრები ისე ჩაეკეტა, რომ მომეტებული წყალი არ ჩასულიყო, თორემ მდიდ [illegible] დიდი ზარალი მოუვიდოდა.

*** დიდი ხანია ჩივიან ტფილისელები, ცხენის რკინის გზის მსახურთა სიბრიყვე ყოველგვარს უკიდურესობას აღემატებაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლაღადი ლაღადისად რჩება, ბრიყვული ქცევა-კი დღითი-დღე ჰმატულობს და არ იქნა „უსახელო საზოგადოებამ“, რომელიც ფულებს კარგად ჰხვეტს, ვერ მოახერხა, რომ თავისს მსახურთათვის ცოტაოდნად მაინც არის ჩაეგონებინა, თუ რა არის ზრდილობა და როგორ უნდა ეპყრობოდნენ მოსიარულეთ. აი კიდევ ნიმუში ცხენის რკინის გზის მსახურთა ჩვეულებრივის ზრდილობიანობისა.

გუშინ, 19 ივნისს, ერევნის მოედნიდგან მომავალ ვაგონში შემდეგს ამბავს ჩვენ თითონ დავესწარით. მატარებელს აქეთ-იქითა მხრიდგან ორ-ორი კონდუქტორი მიადგა, — ერთი ამათგანი ბილეთებს აძლევდა, მაშასადამე, ნამდვილი მეთვალყურე იყო ვაგონისა. მეორე-კი № 83 მეცამეტე გოჭივით ასტორღიალებოდა. № 83 მიუბრუნდა ერთს ყმაწვილსა და ჩაეკითხა: куда тебѣ? ყმაწვილმა ჯერ № 83 შეჰხედა, მერე მეორეს, რომელიც ბილეთებს აძლევდა და შეჰნიშნა, რომელია თქვენგანი ნამდვილი კონდუქტორიო. № 83-მა ბილეთების მძლეველ კონდუქტორზე მიუთითა. პატარა ხანს უკან № 83 კვლავ მიუბრუნდა ამ ყმაწვილს და მაღალის შეტევის კილოთი დაუძახა: куда тебѣ? ყმაწვილს შერცხვა და შეჰნიშნა, რომ არა მსურს შენ ცალკე გიგო პასუხი, სად მივდივარ, მეორეს ცალკეო. № 83-იმ არც აცივა, არც აცხელა და ამაღელვებელის თავხედობით, დაცინვითა და სიბრაზით შეუძახა თვალებთან ხელის მიტანით: что ты грубишь!?. (ეჭვი არ არის, არც ის ესმით, „грубость“ და ზრდილობა რა არის, მით უფრო, რომ უცნობი ყმაწვილი სულ თქვენობით ელაპარაკებოდა.) უცნობს ყმაწვილე მეტი აღარა უთქვამს-რა, მხოლოდ №-რს შეჰხედა. არც ეს ეპატნავა გაბრიყვებულს კონდუქტორს დ. გამოჯავრებით მიაძახა: „посмотри, посмотри 83!“

საკვირეელი ის არის, რომ „საზოგადოებამ“ კარგად იცის ყოველივე ეს, დღე ერთია და ჩივილი ათასი, მაგრამ არავითარს ყურადღებას არ აქცევს. განა ასეთი უყურადღებობაც შეიძლება?

*** 17 ივნისს, დილით, ნავთლუღსა და ტფილისის შუა, ვიღაც კაცებმა ფაიტონით კუბოში ჩადებული კაცის გვამი მიიტანეს რკინის გზის ლიანდაგთან, იქვე დასდეს და თვითონ სადღაც დაიმალნენ.

## სოფ. აწყურის ორ-კლასიანი სა-ეკკლესიო-სამრევლო სკოლა.

(დასასრული *)

ამ სკოლასთან არის სამაგალითო ბაღი გამართული, სკოლის ამ შენობაში მოთავსების დღიდგანვე დაარსებული, ე. ი. ექვსი წელიწადია მას აქეთ. ეს ადგილი იყო ვენახი, როცა ბ-ნმა მელვინეთხუცესიშვილმა შესწირა სკოლას. კომისიამ დაათვალიერა ეს ბაღი და ნახა იქ წრევანდელი ნამუშავარი ბოსტნეულობა საუკეთესო მდგომარეობაში, აგრეთვე წლრევანდელი დათესილი და დარგული სანამყენოები. წარსულის წლებისა არა აღმოჩნდა-რა, ორიოდე ვაზის მეტი. ამ ექვსს წელიწადში

*) იხ. „ივერია“ № 129.

---

თა და სახელმწიფოთა თანხმობა მხოლოდ ჩვენ საკეთილოდ ხდება, ჩვენის ჯიბის გასასქელებლად და უთვალავის სიმდიდრის მოსახვეჭადო. დღევანდელი და აგრეთვე 1888 წლის მაგალითი პირიქით იმასა ჰმოწმობს, რომ გაერთიანებული და განათლებული ხალხი და სახელმწიფონი სცდილობენ ბოლო მოუღონ კერძო კაცთა და ამხანაგობათა მძარცველობა-მტაცებლობას...

ომის დაწყებისას „Punch“-ში ერთი მეტად მოხერხებული კარიკატურა იყო დახატული. ამ კარიკატურაში აწინდელი ზღვის ღმერთი ქვა-ნახშირის მაღაროში მომუშავის სახით იყო გამოყვანილი, იგი ნახშირით სავსე რკინის ვედრაში იჯდა და ისე მიცურავდა. დიაღ, ეს სულიერნი, რომელნიც შავს, უძირო მაღაროებში ჰმუშაობენ, მრეწველობა-ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ნამდვილი ღმერთები არიან. მაგრამ როგორც ვალისის ქვა-ნახშირის მაღაროებში მომუშავეთ განაცხადეს, თვით ამ ღმერთებს ცხოვრება ძალიან უჭირთ თურმე: ის, რასაც ერთის დღის მუშაობაში იღებენ, უბრალო საჭმლისათვისაც-კი არა ჰყოფნით. მათ მოითხოვეს დღიურის სამუშაოს ფასის მომატება. პატრონებმა, რომელთაც ურთ ერთ შორის კავშირი დააარსეს, უარი შეუთვალეს და ამ დღიდგან მუშები შეით ქვნენ და მუშაობაზედ ხელი აიღეს. ეს შეთქმულება ერთი იმ უდიდეს შეთქმულებათაგანია, როგორიც მხოლოდ ინგლისში მოხდება ხოლმე: ხალხი, ათასობით თუ ასი ათასობით არა, წყნარად, მაგრამ შეუცვლელად შიმშილს ითმენს სამის, ხუთის და რვა თვის განმავლობაში და თავის უფლების აღდგენას თხოულობს. აი, ეხლაც 75 ათასი კაცი ქვა-მაღაროს მომუშავე, მაღაროების პატრონების პასუხსა და თანხმობას უცდის. ამბობენ, რომ ეს ხალხი და მათი ცოლ-შვილი წარმოუდგენელს შიმშილსა და გაჭირვებაშიაო. საზოგადოებაში უკვე დიდი მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ...

კარგია, რომ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ამ საგანს. საზოგადოების, ხალხის აზრს აქ დიდი ძალა აქვს. იგი აიძულებს დაკმაყოფილებულ იქმნას მუშათა ჭეშმარიტი მოთხოვნილებანი.

გაზეთები უკვე სწერენ, რომ ამ ახლო ხანში მუშათა და მაღაროს პატრონთა წარმომადგენლებს კონფერენცია ექმნებაო.

* *

წარსულს კვირას გარდაიცვალა შესანიშნავი საპოლიტიკო და საზოგადო მოღვაწე პლიმზოლი — „ზღვაოსანთა მეგობარი“. პლიმზოლის წყალობით, ზღვაოსანთა და საზოგადოდ გემებზედ მომსახურეთა სასარგებლოდ მრავალი დამცველი და მფარველი კანონი იქმნა ინგლისში გამოცემული. იმის მეთაურობითვე დაარსდა ზღვაოსანთა შორის საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებანი და სხვა დაწესებულებანი.

ყველას ახსოვს აქ, რა მხნეობა, თავ-გამოდება და მჭერმეტყველება გამოიჩინა პლიმზოლმა მე-70 წლებში, როდესაც გაკვირვებულ პარლამენტს და ბრაზ-მორეულ საზოგადოებას აუწყა ხომალდისა და გემის პატრონთა საზიზღარი ბოროტ-მოქმედებანი. ამ დღემდე არც-კი იცოდა ვინმემ, რომ მრავალი კერძო ფირმები და ზღვაოსნობის მთელი საზოგადოებანიც-კი ჰყიდულობდნენ ძველ, გამოუსადეგარ გემებს, ჰღებავდნენ ამ გემებს თვალის მოსატყუებლად, ახალის გემებისავე ფასით აზღვევდნენ და შემდეგ შორს ქვეყანაში ისტუმრებდნენ. იშვიათი იყო, რომ ასეთს გემს უბედურება ასცდენოდა. ზღვაოსნები, მექანიკოსები და მეღუმელენი ათასობით იღუპებოდნენ გემის პატრონის სასიხარულოდ და სასარგებლოდ, რადგანაც ეს პატრონი დაღუპულ გემში დაზღვევის ფულს ათი ათასსა და ასი ათასს მანეთს იღებდა.

დიდი ვაჟკაცობა და გამბედაობა იყო საჭირო იმ კაცისათვის, ვინც საბრძოლველად გამოვიდოდა მდიდარ და ყოვლის შემძლე ამხანაგობათა წინააღმდეგ. პლიმზოლი არამც თუ საბრძოლველად გამოვიდა, არამედ საქმე ბოლომდისაც მიიყვანა, თუმცა ამის გულისათვის ბევრი ტანჯვა, ცილის წამება და სამართლით დევნა გამოიარა (ერთხელ სასამართლომ 50,000 მანეთის ჯარიმის გარდახდა მიუსაჯა); მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც უკვე ვსთქვით, იმისმა წვალებამ მშვენიერი ნაყოფი მოიტანა: პარლამენტის კანონის ძალით, რომელსაც პოლიმზოლის კანონი ეწოდება სახელად, არც ერთს გემს არ შეუძლიან ნავთსადგურიდგან გასვლა იმ დრომდე, ვიდრე ექსპერტთაგან შემდგარი ინსპექცია დაწვრილებით არ გასჩხრეკავს და არ გასინჯავს.

გუმფრი დევიმ თვის მიერ გამოგონილ უბედურების ასაცდენ ლამპარით ათასს ქვა-მაღაროებში მომუშავეს ააცდინა და ააშორა სიკვდილი. არა ნაკლებ სამსახური გაუწია ზღვაზედ მომუშავეთ პლიმზოლის კანონმა. კიდეც ამიტომ ინგლისელი ერთ ნაირის სიყვარულითა და თანაგრძნობით იგონებს როგორც ერთის, აგრეთვე მეორის სახელს.

ვ. მარველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს დახარჯული ბაღის მოვლასა და მასწავლებელზედ სამი ათასი მანეთი და ასე ეგონება კაცს, მარტო წელს დაუწყიათ აქ საბაღ-ბოსტნო მუშაობაო. საქმიდგან სჩანს, რომ ამ გარემოებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ განყოფილების თავმჯდომარეს დეკანოზს ხელაშვილს და ზედამხედველს მღ. ჯაჯანიძეს. საქმის შესაფერის განკარგულებით ახლად შესდგომიან ბაღ-ბოსტნის განკარგებას. ამისთანა კარგ მდგომარეობაში ეს ბაღი ამ რამდენიმე წლის წინადაც ვნახეთ, მაგრამ, როგორცა სჩანს, ერთს გაზაფხულზედ კარგი მდგომარეობა ახალშენ ბაღბოსტნისა კიდევ სრული საბუთი არ არის კარგის მომავლისა. საჭიროა, როგორც დაუწყიათ დეკანოზს ხელაშვილსა და ზედამხედველ ჯაჯანიძეს, თვისი თვალი და ყური არ მოაშორონ, თორემ ადვილია ბაღბოსტნის დაქვეითება. ბაღ-ბოსტნის რიგიანი მოვლა-მოშენება დიდმნიშვნელოვანი საქმეა და ამისათვის, იმედია, ისე იქმნება მომართული საქმე, რომ გარე შემორტყმულ გლეხთ მაგალითით ესარგებლოთ.

ამასთან არ შეიძლება არ მივაქციო მკითხველის ყურადღება სწავლა დამთავრებულების რიცხვს. ეს რიცხვი (5) მეტად მეცოტავება. ამ გარემოებას ჰხსნიან იმით, რომ ამ სამოთხს წელიწადში ხალხი ძალიან გაღარიბდა მოუსავლობით, ამისათვის გლეხი ველარ იშორებს ბავშვსა, რაკი იგი სახსრის ალებას შეიძლებსო. მჯერა-კი არა, დარწმუნებულიცა ვარ და რაც შემიძლიან სხვასაც ვარწმუნებ, რომ უკანასკნელ 3—4 წელიწადს ხალხი მოუსავლობით გაღარიბდა; მჯერა, რომ სახრის მომხმარებელი გლეხის შვილი ოჯახში საქმის მქონებელია და ეს საქმეც საქონლის ძოვებაა. ზემო კახეთში ისეთი ვიწრობაა, რომ ნახირის ყოლა მოუხერხებელია. ყველა ოჯახის საქონელს თითო ბავშვი დასდევს. განა როცა შეძლეა გლეხი, მაშინკი არ უნდა საქონელს ძოვება და უკან დევნა? როცა გლეხი ღონიერია, უფრო მეტს გლეხობას არა ჰყავს საქონელი? განა ოთხ-ხუთს სოფელში, საიდგანაც დადიან მოსწავლენი, არ მოიპოვება ხუთის ოჯახის მეტი შეძლებელი? განა ყველანი შეძლებულების შვილები არიან, ვინც სწავლა დაამთავრა? ვთქვათ, ვაჟიშვილები გლეხის სიღარიბისა გამო მოუცლელად არიან, ეს ქალიშვილები სადღა არიან? ხომ ყველამ ვიცით, რომ იმ ქალიშვილებს საქონელი არ დაჰყავთ საძოვრად! რატომ ქალიშვილებმა მაინც არ შეასრულეს სწავლა? რისაგან არის, რომ წინად უფრო მეტი იყო სწავლის მსურველი, ვიდრე შემდეგ? სკოლა თანდათან უნდა იმრავლებდეს სწავლის შეძენის მსურველს და არა იცოტავებდეს. მე აქ დასახელებულ საკითხების ახსნას არ შევუდგები, იმედი-კი მაქვს, რომ ამ მხრივაც ყურადღებას მიაქცევენ ჯერ ახლად საქმის სათავეში ჩამდგარნი: დეკანოზი მ. ხელაშვილი და ზედამხედველი მღ. ჯაჯანიძე. მე მხოლოდ მოვახსენებ, რომ ვიცი ერთი სამრევლო სკოლა სიღნაღის მაზრის ს. ანაგაში, სადაც მასწავლებელი სულ სამი თვეა, რაც გამწესდა, და 86 მოსწავლე ჰყავს, რომელთაგან ზოგნი ფანჯარაში სხდომას რჩეობენ და შინ-კი არ მიდიან. ამავე სკოლაში დათხოვნის რამდენისამე დღით წინ კიდევ მივიდნენ ბალღები, სთხოვეს, ჩვენ ფეხზედ დავდგებით, ოღონდ გვასწავლე რამეო, და ესეც დაუმატეთ, რომ დათხოვნამდის ფეხზედ დგომა არ მოსწყენიათ. როგორ გგონიათ, ეს „ოთხმოცდა ექვსი" ბავშვი და ზედ მეტი ფეხზედ მდგომარენი სულ შეძლებულ გლეხების შვილები არიან? სულაც არა. ამათ შორის მრავალია ღარიბი და ძალიანაც ღარიბი.

ნადიკვრელი

## წერილი ფრონის ხეობიდგან

ეს ის კუთხეა ქართლისა, სადაც უფრო მკვიდრად შენახულა ძველებური პატრიარქალური დამოკიდებულობა და შუა საუკუნისებური კარჩაკეტილობა. იმ დროს, როცა საქართველოს თითქმის ყოველმა კუთხემ გამოიღვიძა და საზოგადო მოძრაობას აჰყვა, აქ ამგვარს არაფერს ჰნახავთ. აქ ისევ სისრულით შენახულა ძველებური დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, რომელსაც ქართლელი გლეხი დღესაც ვერ მოსცილებია. ეხლა მხოლოდ ის განსხვავება ეტყობა, რომ ბატონი რაც შეიძლება მეტს ღალასა სთხოვს გლეხ-კაცს და ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, რაც შეიძლება მეტს გამორჩეს, მეტი ისარგებლოს მისით. მაშ რა ჰქნას ბატონმა, ცხოვრება გაუჭირდა იმასაც და გლეხი-კი ისევ იმის მიწას ჩაჰბღაუის და ერთი ბეწვისოდნად არ სცდილობს სხვა გზით რამე იღონოს. იმ დროს, როცა ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი, ბათუმი, ან კიდევ ბაქო იმერლებითა და გურულ-მეგრელებით ივსება და ლუკმა პურს იქა ძიობს და საცხოვრებელს ჰშოულობს, ქართლელს გლეხს ეს ვერ მოუხერხებია, თუმცა ტფილისი იმაზედ უფრო ახლოა. მთელი ზამთარი და შემოდგომა ხელგაუნძრეველი სდგას და კერას შესცქერის ნაცარქექიასავით და გარედ-კი ფეხი ვერ გაუდგამს, სოფელს ვერ გასცილებია.

სწორედ ამ კარჩაკეტილობისა და თვალგაუხელელობისა გამოა, რომ ქართლში და კერძოთ ფრონის ხეობაზედ სრულიად არ მოიძებნება სასოფლო სასწავლებლები. როცა საქართველოს სხვა პროვინციებში სოკოსავით მრავლდება სკოლები, აქ იმათს ნასახსაც ვერა ჰნახავთ. ამას წინად ფრონის ხეობაზედ ს. ბრეთში მღვდლის ჩაგონებით საერთო კრებამ გარდასწყვიტა სკოლის დაარსება და საჭირო შენობის აგება, მაგრამ არ გაუვლია რამდენსამე თვეს, რომ თვითვე გლეხებმა თხოვნა მიართვეს, სადაც ჯერ არს, სკოლა არ გვინდა, ნუ დაგვიარსებთო. აქაურს გლეხს სკოლა მეტ ხარჯადა და ბარგად მიაჩნია და იქ შვილის მიბარებას ტყუილად დროს დაკარგვადა სთვლის. რასაკვირველია, რომ ფრონელი გლეხი ასე იტყვის, რადგან იქაც-კი, სადაც მთავრობის ფასით აარსებენ ქართლში სკოლებს, ცარიელებია თითქმის და ბავშვები არავის მიჰყავს სასწავლებლად. აიღეთ გინდა ტირძნისის, ესრედ წოდებული „მეორე კლასიანი" სკოლა, რომელშიაც 60 მოსწავლე არც-კი იქნება და ისიც იცით ვინა? შორის მთებიდგან მოსული ოსთა შვილები, ქართველობა თითქმის მცირე ნაწილს შეადგენენ ამ სკოლაში. ამისთანავე სკოლებს კი იმერეთსა და გურიაში 200-300 მოსწავლე ჰყავს და სასწავლებლის მთავრობა იძულებულია უარი უთხრას დანარჩენ მთხოვნელთ ხოლმე. აი, ასე კუს ნაბიჯით მიდის სწავლის საქმე ქართლში და ასეთს სავალალო და სამწუხარო მდგომარეობაშია.

ამ გვარსავე კარჩაკეტილობისა გამოა, რომ დღეს თითქმის ქართლის ნახევარს სოფლებში სულ ამოვარდა ვენახები ფილოქსერისა და ყინვისაგან. ყველგან სცდილობენ და ათას გვარ წამალსა ჰხმარობენ ფილოქსერასთან საბრძოლველად, ქართლში-კი ვერა ჰნახავთ თვით შეძლებულ თავადიშვილის მამულშიაც-კი. ქართლელს არ უნდა თითქოს განგებ გაახილოს თვალები და დაინახოს, რომ მამული ხელიდგან გამოეცლება, თუ ჩქარა არ მიჰხედა და არ უწამლა. მაგრამ ამას ვიღა სჩივის, შეიძლება მართლა-და შეძლება არა ჰქონდეს გლეხს უწამლოს თავისს ვენახს, მაგრამ ეს რაღა უბედურებაა, რომ ზამთარში ვერ დაუმარხავს ვენახი, ორი ბარის პირი მიწა ვერ წაუყრია, რომ ყინვისაგან არ გაუხმეს და სამუდამოდ არ გამოესალმოს თავისს ვენახს. არა, აქ უფრო დაუდევრობა და უზრუნველობაა, ვიდრე უქონლობა და შეუძლებლობა. სწორედ ამ დაუდევრობის გამო მთლად ამოაგდო შარშანდელმა ყინვებმა ქართლის მრავალის სოფლის ვენახები და დღეს გულს ხელ-დაკრეფილებილა შესცქერიან თავიანთს გაოხრებულს მამულს. ეჰ, როდის რა გვეშველება, როდის გამოვა ქართლელი ძილიდგან და თვალს როდის გაახელს?!.

შ. კაკაველი

# რუსეთი

გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერიდგან რკინის გზებზედ მოხელეებად ნუ მიიღებთ იმათ, რომელთა ხნოვანებაც 40 წელს იქმნება გადაცილებულიო.

— სავაჭრო საგილდო გარდასახადის მაგიერ განზრახვა აქვთ საპატენტო გარდასახადი შემოიღონ. ამგვარ გარდასახადის შემოღება მძიმე ტვირთად დააწვება იმათ, რომელთაც რამდენიმე სავაჭრო სახლი აქვთ და გაუადვილდებათ სავაჭრო გარდასახადის ძლევა წვრილ ვაჭართ.

— წესდება უმაღლესს სამთო სასწავლებლისა, რომელიც უნდა დაარსებულ იქმნას ქ. ეკატერინოსლავში, უკვე განიხილა თურმე მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და გაუგზავნა სხვა სამინისტროებს თავიანთის აზრის გამოსათქმელად. წესდება დასამტკიცებლად წარედგინება სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესსიას.

— მომავალ სამოსწავლო წელს გზათა საინჟენერო ინსტიტუტის მეორე კურსზედ მიღებულ იქმნებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც პირველის ხარისხით ექნებათ უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებული. დანარჩენ უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი არ იქნებიან მიღებულნი არც მეორესა და არც მესამე კურსზედ.

— პროექტი სამრეწველო გარდასახადის ახალის კანონისა უკვე განხილულ და შეწყნარებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს მიერ.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკელებს 14,000 ჯარის კაცით ძალიან გაუჭირდებათ სანტ-იაგოს აღებაო. საქმე ის არის, რომ ესპანიას, სანტ-იაგოში გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს, ვიდრე შეერთებულ შტატებს. წინად ესპანიას სულ 15,000 ჯარის კაცი ჰყავდა იქა, მაგრამ მას შემდეგ რაც ბლანკომ ახალი ჯარი მოაშველა, მათი რიცხვი 31,000 კაცამდეა. ამ ჯარს დახმარებას აღმოუჩენს აგრეთვე ადმირალ სერვერის ესკადრაც. გარდა ამისა ესპანელებს შეუძლიან გაჭირვების დროს დაიბარონ ჯარი ახლო-მახლო ადგილებიდგანაც. სანტ-იაგოში მყოფი ჯარი სამ ნაწილად არის დაყოფილი, პირველი ნაწილი, რომელსაც გენერალი პანდო უფროსობს, 14,000 კაცისაგან შესდგება, მეორე ნაწილი, გენერალის ლინარესის უფროსობით, 10 ათას ჯარის-კაცისაგან და მესამე ნაწილი გენერალის ლიუბის უფროსობით, 7 ათასის ჯარის-კაცისაგან. ეს უკანასკნელნი ქალაქის მეციხოვნენი არიან და იმის სიმაგრეებს და შესავალ გზას იცავენ. ზოგი გაზეთი დაჭეშმარიტებით ამბობს, რომ ამერიკის ხმელეთის ჯარი სანტ-იაგოს ვერაფერს დააკლებს და ვერ აიღებსო. საფიქრებელია უფრო, რომ სანტ იაგო სამპსონის ესკადრისაგან იქმნას განადგურებული. ხოლო ვიდრე სამპსონი სანტ-იაგოს მიადგებოდეს, საჭიროა, მან ჯერ სერვერის ესკადრას მოუღოს ბოლო. ამიტომ სამპსონი, ეჭვს გარეშეა, რომ წინანდელზედ უფრო ძალიან ეცდება როგორმე ნავთ-სადგურში შევიდეს და სერვერის ესკადრას პირის პირს შეებას. ძნელი მხოლოდ ნავთ-სადგურის შესავლის გავლაა. თუ როგორმე ამ ვიწრო შესავალს უხიფათოდ გასცდა, მაშინ სამპსონი დიდხან აღარ დააყოვნებს და სერვერის ესკადრას ისევე მალე გაანადგურებს, როგორც დევეიმ მონტახოს ესკადრა გაანადგურა მანილაში.

— გაზ. „Daily News"-ი სწერს: „სრული სამი თვეა, რაც ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი დაიწყო და ესპანია-კი დღესაც ისევე უგუნურად იქცევა და უხეიროდ მიჰყავს საქმე, როგორც ომის დაწყებისას იქცეოდა. ამ საცოდავ ქვეყანას არც ერთი ისეთი ნიჭიერი ადმირალი არ აღმოჩნდა, რომელსაც შესძლებოდა მტერს მამაცურად და ვაჟკაცურად დაჰხვედროდა და არც ერთი ისეთი გონიერი სახელმწიფო მოღვაწე არ გამოჩნდა, რომელსაც ამ ორსავე სახელმწიფოს დამღუპავ ომისთვის ბოლო მოეღო და ზავი ჩამოეგდო. ამ შემთხვევაში ესპანია ფილიპეს კუნძულებსა და სხვა კიდევ რომელსამე ახალშენს მაინც შეინარჩუნებდა, დღეს-კი შეიძლება ყველა ახალშენები ხელიდგან გამოეცალოს. საქმის ვითარება ამ ჟამად ისეთია, რომ ესპანიას კუბაში გამარჯვებაც-კი ვეღარაფერს უშველის: ამ კუნძულის გემოს ესპანია ვეღარ იგემებს, იგი, ასე თუ ისე, უნდა განშორდეს იმას, მაგრამ ამ კუნძულთან ერთად ესპანია ფილიპეს კუნძულებსაც ჰკარგავს, რადგანაც ძნელი საფიქრებელია, რომ ამერიკამ ეს კუნძულები ხელიდგან გაუშვას. ამერიკა არც თითონ დაინარჩუნებს ამ კუნძულებს და აღარც ესპანიას დაუბრუნებს და ამის ნაცვლად თავისუფალ სახელმწიფოდ აღიარებს მათაო". — ამ ომმა ესპანია მარტო იმით-კი არ აზარალა, რომ ხაზინა გაუკოტრა და იმის აურებელი ჯარის-კაცი და აფიცერი წუთი-სოფელს გამოასალმა, არამედ იმითაც, რომ მრავალი ესპანელი ულუკმა-პუროდ დასტოვა და შიმშილით სიკვდილის პირს მიიყვანა. ესპანიასაც, როგორც დასავლეთ ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოს, პური უმთავრესად ამერიკიდგან გამოჰქონდა. დღეს-კი, ომის გამო ამერიკიდგან პურის გამოტანა შეუძლებელი გახდა და ამიტომ ესპანიაში პურის ფასმა საშინლად აიწია. რასაკვირველია, ეს უბედურება, როგორც ყოველთვის, ღარიბებსა და ღატაკებს დაატყდა თავს. გარდა ამისა ესპანია წინად დიდს საქონელსა ჰგზავნიდა სავაჭროდ კუბასა, პორტო-რიკოსა და ფილიპეს კუნძულებზედ. იმავე ომის გამო დღეს აღარც ერთი სავაჭრო გემი აღარ დაიარება ამ კუნძულებსა და ესპანიის შორის. ამიტომ ქარხნებში საქონლის მომზადებას თავი მიანებეს, მუშაობა აღკვეთეს და მუშები სრულიად დაითხოვეს. მარტო ბარცელონაში 17 ათასი მუშაა დათხოვნილი და ულუკმა-პუროდ დარჩენილი. არა ნაკლებ ტანჯვასა და წვალებაში არიან კატალონიისა და ზოგიერთის სხვა პროვინციის მუშებიც. შესაძლებელია, რომ ყველა ამას ამბოხება მოჰყვესო, წინასწარმეტყველობს ზოგიერთი გაზეთი.

# დამაკვირდი

ღმერთმან მზე და მთოვარე კორცთა ჩუენთა საკმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგუმადლნა.

დავით ჯიბისძე (1035 წ.)

***

იოხდეს დედაჲ ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა.

წმ. დავით აღმაშენებელი

***

ზღვაჲ შეიკრებს ძლიერებასა მდინარეთასა და არა გარდაჰცემის.

თორნიკე (978 წელს)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისის ერთს ჟურნალში დაბეჭდილია ახალი ამბავი ერთის საკვირველის შემთხვევის შესახებ, რომელიც საოცარია ამ ბოლო დროს ყველა გამოგონილ მანქანებზე. აი ეს ამბავი. 1892 წელს ნიუ-იორკში გარდაცვლილა ახალგაზდა ვექილი, სახელად ჯორჯ პელჰამი. ერთხელ ამ პელჰამს ლაპარაკი მოსვლია თავისს მეგობარ გოდსონთან, რომელიც უმტკიცებდა, ადამიანის სული უკვდავიაო. პელჰამი უარ-ჰყოფდა ამას და ამბობდა, სხეულის სიკვდილთან ერთად ყველაფერი თავდებაო. დიდის ხნის შემდეგ მეგობრებმა პირობა დასდეს, რომ ვინც ადრე მოკვდება იმათში, თუ ადამიანის სული მართლა უკვდავია, ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რომ ეს თავისს მეგობარს შეატყობინოს. ცოტა ხნის შემდეგ პელჰამი გარდაიცვალა. გაიარა რამდენმამე კვირამ. ერთხელ გოდსონი ქ-ნ პიპერთან იყო, სხვათა შორის, იქვე მისულიყო განსვენებულის პელჰამისა და გოდსონის მეგობარი გარტი. უეცრად ქ-ბ-ნმა პიპერმა განაცხადა, რომ ამ ჟამად აქ არის პელჰამის სულიო და დასამტკიცებლად გადმოსცა გოდსონსა და გარტს მათივე სიტყვები და ის ლაპარაკი, რომელიც გარტისა და გოდსონის მეტმა არავინ იცოდა. გოდსონს თუმცა სწამდა, რომ ადამიანის სული უკვდავი არისო, მაგრამ ეს

ამბავი მაინც ძლიერ გაუკვირდა. საოცარი როგორ არ იყო, რომ ქ-ნი პიპერი არაოდეს არც-კი იცნობდა პელჰამს და ეხლა-კი იმისის სულის შთაგონებით ყველაფერზე ისე ელაპარაკებოდა პელჰამის მეგობრებს, თითქო ეს ქალი-კი არა, თვით პელჰამი ლაპარაკობსო. ერთხელ პელჰამის სულმა უთხრა გოდსონს: „ჯიმ, მე ძლიერ ვსიამოვნებ, რომ შენთან ლაპარაკი შემიძლიან, დიდი ხანი არ არის, რაც ვიგრძნე, რომ არ მომკვდარვარ, მოკვდა მხოლოდ ჩემი სხეული. პირველად ვიგრძნე საშინელი წყვდიადი და ვერაფერი გავიგე, სად ვიყავი, ან ვარსებობდი-და, თუ არა. ეხლა-კი ვგრძნობ, რომ ისევ ცოცხალი ვარ. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიკვირდა, როდესაც ეს პირველად შევიტყე. დარწმუნებული ვიყავ, რომ ადამიანის სული სხეულთანვე ერთად კვდებოდა და ეხლა გავიგე, რომ ადამიანის სულ კიდევ სხვა სხეული ჰქონია, მაგრამ ისეთი კი არა, როგორიც უწინა ჰქონდა“.

ეს ამბავი სწორედ მეტად საყურადღებოა თუ მართალია. ურწმუნონი ამბობენ, ერთი მაგალითი მაინც იყოს იმისი, რომ ადამიანის სული სხეულის შემდეგ კიდევ ცოცხალიაო. აი, ესეც მაგალითი. ჟურნალი, რომელშიაც ეს ამბავი არის აწერილი, ამბობს, რომ აქ მოგონილი არაფერია, ყოველივე ნამდვილი ჭეშმარიტებააო.

## ბიბლიოგრაფია

„En Géorgie“ par le baron de Boye, Paris 1898. „საქართველოში“, თხზულება ბარონის დე-ბესი. პარიჟი, 1898 წ.

ეს წიგნი გადმობეჭდილია ჟურნალიდგან „Revue de Géographie“.

ამ წერილის ავტორი შარშან კავკასიაში მოვიდა გრაფს შერემეტევთან ერთად, იყო ტფილისს, კახეთს, ქუთაისსა და გურიაში. ბარონი ბე ძლიერ ძოტა ხანს იყო საქართველოში და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ სავსებით ვერ შეეძლო ჩვენი ყოფა-ცხოვრების შეტყობა, მაგრამ წიგნიდგანა სჩანს, რომ საკმაოდ დაჰკვირვებია აქაურს ცხოვრებას. ტფილისის შესახებ ბე ძლიერ ცოტასა სწერს; უფრო ვრცლად მოგვითხრობს კახეთის ამბავს და განსაკუთრებით სოფ. კარდანახისას, სადაც ბე რთველის დროს ყოფილა. „ყოველივე პირვანდელი და პოეზიით სავსეა ამ ქვეყანაში, თვით ღვინის დაწურვაც-კიო“, ამბობს ბე.

ლეკურის შესახებ აი რასა სწერს: „საჭირო იყო კინემატოგრაფი მქონიყო, რომ გადმეღო და მეჩვენებინა ყველასათვის ეს მოხდენილი, კეთილშობილი, მარჯვე და ამაყი მოძრაობა მოლეკურეთა. მოხდენილი და ლამაზი მიხვრა-მოხვრა ბუნებრივი თვისებაა ქართველებისა, იმათიც-კი, ვინც მიყრუებულ სოფლებში სცხოვრობს. კარგა ვრცლადა აქვს აწერილი ბეს რთველი და ღვინის დაწურვა. „მშვენიერს სურათს წარმოადგენს ის დრო, როდესაც ქართველები თან მღერიან და თან ყურძენსა სწურავენ, ამ დროს წითელი წვენი მზის შუქზე ბრწყინავსო“. სწერს ავტორი.

აგრედვე აწერილი აქვს ბეს ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერი. კახეთიდგან ბე წასულა გურიაში, უნახავს ჩაქვში ჩაის ბუჩქები და აქედგან დაბრუნებულა ქუთაისში. აქ ბესა და გრაფს შერემეტევს თავად აზნაურობამ სადილი გაუმართა. თვით სადილი და საჭმელებიც-კი დაწვრილებით აქვს აწერილი ბეს. სადილის შემდეგ გაჩაღებულა ლეკური, რომელიც ძლიერ მოსწონებია ბეს. „მუსიკა ლეკურის დროს ძლიერ განირჩევა იმ მუსიკიდგან, რომელსაც ჩვენ, ევროპიელნი ვართ ჩვეულნიო, ამბობს ბე. „ისიც-კი უნდა მოგახსენოთო, განაგრძობს ავტორი, რომ ეს ლეკური საუკეთესო გამომხატველია გრძნობისა“.

ეს მუსიკა აგონებს კაცს რაღაც უსაზღვრობას და იზიდავს კაცის გულს.

ქუთაისიდგან ბარონი ბე წასულა გელათის მონასტრის დასათვალიერებლად, ძლიერ მოსწონებია მდებარეობა და აგრედვე მხატვრობა ამ შესანიშნავის მონასტრისა. აქვე ავტორს გადუთარგმნია რამდენიმე ლეგენდა თამარის შესახებ.

ქუთაისიდგან ტფილისში რომ წამოსულა, დიდს აღტაცებაში მოუყვანია როგორც ბუნებას, აგრედვე ხალხსაც და სწერს: „თითოეულ სადგურზედ ვაკვირდებოდი ხალხს. ყველას მოხდენილი სიარული აქვს და ყველას კეთილ შობილური მიხვრა-მოხვრა, ქცევა და შეხედულობა. ეს თვისებანი ბუნებითა აქვთ აქაურს თავადსაცა და მათხოვარსაც. მე შემეძლო მრავალი სურათი შეჩვენებინა სრულიად შემთხვევით გადაღებული, მაგრამ მხოლოდ ერთის მათხოვრის სურათსა ვბეჭდავ. იმის მიხვრა მოხვრაში მე ძლიერ დიდი თითქმის არტისტიული მოხდენილობა შევამჩნიეო“.

წიგნში ჩართულია 53 სურათი (მონასტრები, ეკკლესიები, სურათები ხალხის ცხოვრებიდგან და სხვ.).

ლ.

## ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების კრების შესახებ.

წარსულის წლის აგვისტოს თვეში ქუთაისში, საკვირაო სკოლის სადგომში, საერო მასწავლებელთა კრება იყო. კრებას დაესწრო 30-მდე მასწავლებელი. უნდა შემდგარიყო ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, რომელსაც საგნად ექნებოდა, 1), ნივთიერად დახმარება აღმოეჩინა ამ საზოგადოების წევრთათვის საჭიროების დროს, რამდენადაც საზოგადოება შესაძლებლად დაინახავდა; 2, ეზრუნა მათის გონებრივ განვითარების გასაუმჯობესებლად. რადგან ამ საგნების განხილვამ მაშინ დიდი კამათი გამოიწვია და თვითოეულმა თავ თავისი აზრი წარმოსთქვა და ამჯობინა, ამისათვის არჩეულ იქმნა კომისია, რომელიც შესდგა საზნაურო და ქუთაისის პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებლებისაგან და რამდენისამე სხვა განათლებულ კაცისაგან. ამ კომისიას დაევალა წესდებისა და საზოგადოების მოქმედების პროგრამის შედგენა; უნდა გამოერკვია, წევრებად ვინ უნდა ყოფილიყვნენ მიღებული, მარტო საერო მასწავლებელნი, თუ ქალაქის მასწავლებელნი და არა მასწავლებელნიც; საზოგადოება წევრებს რაგვარად უნდა დახმარებოდა და ან იმათ გონებრივ განვითარებისათვის როგორ უნდა ეზრუნა.

ეს წესდებანი კომისიას უნდა გამოეცხადებინა ამა წლის იანვრის თვეში. კომისიამ გამოაცხადა კიდეც გაზეთში, რომ კრება ამ საქმის შესახებ დანიშნულია 3-ს იანვარსაო. საუბედუროდ, მაშინ ისეთი ცუდი ამინდები იდგა, რომ ვინც ჩვენთაგანი რკინის გზის სადგურის ახლო სცხოვრობდა, ის თუ დაესწრებოდა, თორემ სხვას ისე არ შეეძლო ქუთაისში ჩასვლა და კრებაზედ დასწრება. რასაკვირველია, კრებას ბევრი მასწავლებელი ვერ დაესწრებოდა და ამის გამო კომისია კრებას გადასდებდა სხვა მოხერხებულ დროსთვის. მას შემდეგ აგერ მეექვსე თვეა, ვათვალიერებთ ყოველ დღე გაზეთებს, მაგრამ ვერსად წავაწყდით, როდისათვის არის კრება დანიშნული.

აი, ამ ერთის კვირის შემდეგ ყველა მასწავლებელნი თავისუფალნი ვიქნებით და უფრო მოხერხებულია მისვლა-მოსვლაც. ამისათვის უმორჩილესად ვთხოვთ კამისიას დღეიდგანვე გამოგვიცხადოს გაზეთში კრების დანიშვნის დრო და ადგილი, რომ ივლისში, ან აგვისტოს პირველ რიცხვებში შევიკრიბნეთ ყველანი, მოვისმინოთ კომისიის შედგენილი წესდებანი და მოვილაპარაკოთ ამ დიდმნიშვნელოვან და კეთილ დაწესებულების შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი სოფლის მასწავლებელი, რომელსაც გულით მოუკიდია ამ ხელობისათვის ხელი და შემთხვევით არ გამხდარა რდოებითი მასწავლებელი, თანაუგრძნობს და შეიგნებს სარგებლობას ამ დაწესებულებისას და დაესწრება კრებას დანიშნულს დროს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომისია ჩვენს სურვილს ჩაილურის წყალს არ გაატანს.

ზედამხედველი ტობანიერის ორკლასიან სასწავლებლისა—ვლ. ნაცვალიშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა იმერეთის ეპისკოპოსად საქართველოს ეპარქიის მეორე ვიკარი ყოვლად-სამღვდელო ბესარიონი დაამტკიცა *).

**პარიჟი.** ბრისსონმა წარუდგინა ფორს ახალ კაბინეტის წევრები. ფორმა ხელი მოაწერა სამინისტროს დაარსების ბრძანებას.

**მადრიდი.** აუგუსტის დეპეშა იუწყება, რომ საქმეთა ვითარება ისევ გამწვავებულია. 130,000 მეამბოხეთა შორის 30,000 თოფით არის შეიარაღებული. აგვინალდომ შემოუთვალა ესპანელთ, რომ დაგვმორჩილდითო, მაგრამ აუგუსტიმ უარ ჰყო ეს წინადადება. მინდანაოს გენერალ-გუბერნატორი ამბობს, რომ მეამბოხენი გაფანტულ იქმნენ ჯარისაგან და იმათი უფროსი არსე, აგვინალდოს წარმომადგენლად ნამყოფი, მოკლულ იქმნაო. გენერალ-გუბერნატორი ამას დასძენს, რომ ჩემდა რწმუნებულ ვრცელს მიწა-ადგილზედ მშვიდობიანობაა დაცულიო.

**იოკაჰამა.** გრაფს ოკუმას და იტაგაკის მიენდო კაბინეტის შედგენა და იგი შედგენილ იქმნა კიდეც.

**ბერლინი.** არჩევანები დასრულდა. სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს 8 ადგილი, შუაგულმა დასმა—7, თავისუფლად მოაზრე საერო დასმა—2, იმპერიის დასმა დაჰკარგა—4, ანტისემიტთ—2, სამხრეთ-გერმანელთა საერო დასმა—4, პოლშელებმა—5, არჩევანის დროს სამოქმედოდ პირველად გამოვიდა სოფლის მეურნეთა კავშირი და მოიპოვა 4 ადგილი.

**მადრიდი.** დედოფალმა-მმართველმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომ კადიკსში დაუყოვნებლივ შედგენილ იქმნას საომარ ხომალდთა დამხმარებელი დივიზია 4 შეიარაღებულის გემისაგან.

აურნი ჰფიქრობს, რომ კამარას ესკადრა ეხლა გადის სუეცის არხშიო.

კუბიდგან იუწყებიან, რომ შაფტერის 300 ჯარის კაცი ავად გახდა ყვითელის ციებითაო. ამერიკის ჯარმა დაიწია სანაპიროსაკენ.

მანილადგან დეპეშით იუწყებიან, რომ აუგუსტის თხოვნისამებრ უცხო სახელმწიფოთა ადმირალები თავს მოიყრიან ერთად საქმეთა ვითარების შესახებ მოსალაპარაკებლადო.

*) ეს დეპეშა გუშინ ვერ მოვათავსეთ დაგვიანებისა გამო.


# განცხადებანი




ველისახე ოკ რო



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეორე განყოფილება საღებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. ორივ ალაგას საუკეთესოდ მზადდება ყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა წლებზედ იაფ ფასად. აგრეთვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძსკისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურების მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას დადებით.

(40—6.—3)


## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

| უმთავრესი სადგურები | მატარ. № 1 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 2 ბათუმიდგან ბაქომდე | | მატარ. № 3 ბაქოდგან ბათუმამდე | | მატარ. № 4 ბათუმიდგან ბაქომდე | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. | შედის | გამოდ. |
| ბათუმი | 8.47 | — | — | 8.20 | 8.33 | — | — | 8.35 |
| სამტრედია | 5.31 | 5.46 | 11.21 | 11.36 | 4.50 | 5.05 | 12.05 | 12.20 |
| ყვირილა | 3.37 | 3.47 | 1.22 | 1.32 | 2.48 | 2.58 | 2.16 | 2.26 |
| ხაშური | 12.41 | 12.56 | 4.38 | 5.00 | 11.47 | 12.02 | 5.26 | 5.41 |
| გორი | 11.23 | 11.32 | 6.06 | 6.18 | 10.23 | 10.33 | 6.45 | 6.55 |
| ტფილისი | 8.26 | 9.10 | 8.22 | 9.05 | 6.33 | 7.48 | 9.07 | 10.57 |
| აქსტაფა | 5.23 | 5.32 | 11.43 | 11.51 | 2.53 | 3.18 | 1.45 | 2.08 |
| განჯა | 2.23 | 2.37 | 2.35 | 2.55 | 11.39 | 11.54 | 5.18 | 5.40 |
| უჯარა | 10.43 | 10.53 | 6.08 | 6.20 | 7.39 | 7.49 | 9.14 | 9.24 |
| აჯიქაბული | 7.29 | 7.44 | 9.19 | 9.30 | 3.57 | 4.17 | 1.00 | 1.25 |
| ბაქო | — | 4.05 | 12.59 | — | — | 12.20 | 5.45 | — |

შენიშვნა: შავს ხაზებში მოქცეული საათი და წუთი ღამესა ჰნიშნავს, უხაზო—დღეს.

სამტრედიასა და ფოთს შორის ორი მატარებელი დადის: პირველი სამტრედიიდგან გადის დილის 5 საათსა და 05 წუთ. და ფოთში შედის დილის 7 საათსა და 42 წუთ., მეორე—სამტრედიიდგან გადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ფოთში შედის საღამოს 10 ს. 08 წ.; პირველი—ფოთიდგან გამოდის საღამოს 8 ს. 55 წ. და სამტრედიაში მოდის საღ. 11 ს. 30 წ., მეორე ფოთიდგან გამოდის დილის 6 ს. 27 წ., სამტრედიაში მოდის დილის 8 ს. 55 წ.

სამტრედიასა და რიონს შორის; სამტრედიიდგან გადის დილის 9 ს. 10 წ., რიონში ჩადის დილის 10 ს. 02 წ. და ესევე მატარებელი რიონიდგან ქუთაისს გადის 10 ს. 10 წ. და ქუთაისში ჩადის 10 ს. 35 წ.

რიონიდგან ქუთაისსვე გადის მატარებელი დილის 5 ს. 30 წ., ქუთაისს ჩადის 5 ს. 55 წ., ქუთაისიდგან რიონს გამოდის დღის 5 ს. 20 წ., რიონში ჩადის 5 ს. 45 წ.

შორაპან-რიონი. შორაპნიდგან გადის დილის 7 ს., რიონში ჩადის დილის 8 ს. 11 წ., რიონიდგან გადის დღის 2 ს. 53 წ., შორაპანში ჩადის დღის 4 ს. 02 წ. ეს მატარებელი შორაპანსა და ქუთაისს შორის პირდაპირ დადის და მგზავრთ სხვა მატარებელში გადასხდომა არა სჭირდებათ.

## რკინის გზის საქალაქო მატარებლების მიმოსვლა.

ტფილისსა და გორს შორის: ტფილისიდგან გადის დილის 10 ს. 15 წ., გორში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 48 წ., გორიდგან გამოდის საღამოს 7 ს., ტფილისში ჩამოდის საღამოს 9 ს. 18 წ.

ტფილისსა და ბორჯომს შორის: ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 2 ს. 30 წ., გორში ჩადის 4 ს. 58 წ., ხაშურში—საღამოს 6 ს. 29 წ., ბორჯომში—7 ს. 50 წ., ბორჯომიდგან გამოდის ღამის 1 ს. 44 წ., ხაშურში ჩამოდის ღამის 2 ს. 54 წ., გორში—ღამის 4 ს. 33 წ. და ტფილისში—დილის 7 ს. 33 წ.

ტფილისსა და მცხეთას შორის: ტფილისიდგან ორი მატარებელი გადის—ერთი—დილის 8 ს. 20 წ., და მცხეთაში ჩადის დილის 9 ს. 16 წ., მეორე—ტფილისიდგან გადის ნაშუადღევის 5 ს. 20 წ., მცხეთაში ჩადის საღამოს 6 ს. მცხეთიდგანაც ორი მატარებელი მოდის ტფილისისაკენ: პირველი მცხეთიდგან გამოდის დილის 10 ს. 8 წ. და ტფილისში ჩამოდის—10 ს. 52 წ. მეორემცხეთიდგან გამოდის საღამოს 6 ს. 45 წ., ტფილისში ჩამოდის—7 ს. 23 წ.

ბათუმსა და ქობულეთს შორის: ბათუმიდგან სამი მატარებელი გადის: ერთი—დილის 7 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის—დილისვე 8 ს. 15 წ., მეორე—ნაშუადღევის 2 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის 3 ს. 10 წ., მესამე—ნაშუადღევს 5 ს. 15 წ. და ქობულეთში ჩადის საღამოს 6 ს. 10 წ.; ობულეთიდგანაც სამი მატარებელი მიდის ბათუმს: პირველი—დილის 11 ს. 15 წ. და ბათუმში ჩადის ნაშუადღევის 12 ს. 12 წ., მეორე—ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. და ბათუმში ჩადის 4 ს. 37 წ., მესამე—საღამოს 6. ს. 45 წ. და ბათუმში ჩადის საღამოსავე 7 ს. 40 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.